

იტალიელი მხატვარი

წამოველ მუნით და მოველ ქალაქსა იტალიისასა. მნახა მხატვარმან ვინმე და მაწვია. ყოველთა მხატვართა უხუცესი იყო. მასთან ერთი თვე დავეყავ. რომელი მხატვარი მას აწვევდა, მეც მაწვევდა ხოლმე.

ერთმან მხატვარმან გვაწვია. ერთს სარკმელში ერთი საწერელი

დაეხატა, გაშლილი კალამი რომ შიგ იდევას, მის მსგავსად, კაცს ეგრე ეგონებოდა, გაშლილი საწერელი ძესო. ერთი სხვა დია კარგი მხატვარი იყო, ხელოვნების მჩემებელი. მას უთხრა მასპინძელმან: ადეგ, ძმაო, ეგ საწერელი მომეც და მერმე მე გემსახურო!

ზე ადგა იგი მხატვარი, საწერელი ეგონა. რა ხელი მიჰყო, კედელი დაჰხვდა, მეტად შერცხვენდა. ჩვენ გაგვეცინა.

მეორეზე მან გვაწვია. ამა უწინდელს მასპინძელს საწერლის საქმე დავიწყებოდა და მას კედელსა ზედა ერთი გაღებული კარი გამოესახა. ეგრე ეგონებოდა კაცსა, შესავალი სახლის კარიაო.

ღვინოს ვსმევდით და ერთსა სიტყვასა ზედა შეიცილნენ.

მასპინძელმან საწერლის მხატვარს უთხრა: ნუ ცილობთ, ჩემს წიგნში მართალი სწერიაო!

მან ჰკითხა: იგი წიგნი სად არისო? =

მასპინძელმან კარი აჩვენა: მას სახლში ძეს და გამოიღეო და ნახეო!

ადგა, სწრაფით შესვლას ლამოდა და კედელს თავი შეატაკა და გაიხეთქა.

მასპინძელმან უპასუხა: ავად გიმასპინძლე, მარა მისთანა საწერლის ხატვას, მაგისთანას სახლში ისწავლიანო.

ღვინო ვსვით და გავიხარენით.

სხვამან გვაწვია მხატვარმან. ჩვენ დაგვსხა და, სადა ჩვენ ვსხედით, იქ გვერდით სხვა სახლი ედგა. მას შიგ ერთი რკინის აუზი გაეკეთებინა. მნახავს მდგარი წყალი ეგონებოდა.

თვითო-თვითო მხატვარი მოიწვივის, მისცის ჭიქა, უთხრის: ძმაო, შევედ, მანდ წყალი დგას, ამოიღე და გამოიტანეო!

შევიდიან, წყალი ეგონისთ, ატაკიან ჭიქა, გატეხიან და სხვით გზით გაიპარიან და სირცხვილეულნი წარვიდიან.

ერთი ბრძენი მხატვარი იყო. რა იგი აწვია, მოვიდა. ჭიქა მისცა და შეგზავნა. ნახა. აგრძნა, ხრიკი რამე არისო. ხელი მიჰყო, რკინა იყო. სამხატვროს საწერელი. მუნ მზა იდგა. მას რკინაზე ერთი მყრალი ძაღლის მძორი გამოხატა, რომე შიგ

ჩავარდნილს ჰგვანდა. გამოვიდა და უთხრა: ვიდაცას ძაღლის მძორი ჩაუგდია, იგი აღარ იხმარების და აღარ ავაფსეო.

შევედით, ვნახეთ, გვიამა, ღვინო ვსვით. ღია მომეწონა მათი ხელოვნება.

სხვამან გვაწვია. მეორისა ამხანაგისა ცოლი თურე ენახა და მისი სახე გამოესახა, სრულად მას ამსგავსა. ჩვენ დავსხედით მას სახესთანა. მერმე იგი კაცი აწვია. შემოვიდა, ნახა ჩვენში მჯდომელი. ფიცხელი კაცი იყო. მას მართლა მისი ცოლი ეგონა. მეტის ჯავრისაგან ველარა გაიგნო რა. მოუხდა, ცემა ენება. რა მჯიღი შემოჰკრა, კედელი დაჰხვდა.

ღიადი ვიცინეთ და ესრეთ დავლიეთ თვე იგი მუნ.

წამოვვლ მუნით, მოვხვდი კაცთა ვისმე სამთა. მინდვრად სხდეს მეზომირთა გზათა თანა. იგინიცა მას დღესა შეყრილიყვნენ, ძმათა სტიროდენ და ცოლებს აგინებდენ. მიველ, ვკითხე: რა წაგვიდებიათ-მეთქი!

მითხრეს: ცხენით გარდამოხედ, დაჯედ და გეტყვითო!

ერთმან თქვა: